საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბოსელი

ბოსელი, გომი, გომური, საქონლის საზამთრო სადგომი, ხისა ან ქვითკირით ნაგები. დგამენ საცხოვრ. კომპლექსისაგან მოშორებით. კედელში სარკმელს ატანენ შუქისათვის და ნაკელის გადასაყრელად. საქონლის სადგომ-საწოლ ადგილზე დაფერდებულად აგებენ მრგვალ ან გათლილ მორებს, ზოგჯერ კი ჩელტს ან სიპ ქვებს („ზღვე“, დას. საქართველოში – „ბოგა“). კედლის გაყოლებით მართავენ ფიცრულ ან მოწნულ ბაგას. ბ-ში მეწველ საქონელს შედარებით თბილ ადგილას აბამენ. ცალკე კუთხე აქვს დათმობილი მუშა საქონელს. ლასტით არის გამოყოფილი სახბორე, საცხვრე. ზოგჯერ ბ-ს ზემოდან ადგამენ საბძელს ან სხვა სამეურნეო დანიშნულების სათავსს, ადრე კი ხშირად საცხოვრ. სახლსაც. ბ-ის სახელწ. მესაქონლეობის ღვთაება – ბოსელს და დღესასწაულ ბოსლობას უკავშირდება.

ნ. თოფურია